წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. პარასკევი, 23 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 287

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე

## „საქართველო“

1917 წ. წელიწადი მესამე

### ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

**გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.**

**გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას აწევიან:**

აკ. აბესაძე,
ი. აბულაძე,
არქ. ამბროსი (ხელაია),
დ. არონიშიძე,
ა. ასათიანი,
ალ. ახმეტელი,
ვ. ბარნოვი,
ივ. ბუქურაული,
მკ. გაბაშვილისა,
რ. გაბაშვილი,
განდეგილი,
გ. გვაზავა,
ს. გორგაძე,
გ. გორდეზიანი,
ვ. გუნია,
შალვა დადიანი,
ზ. ედილი,
ი. ვართაგავა,
გრ. ვეშაპელი,
ეკ. თაყაიშვილი,
ინ-ბანი,
პ. ინგოროყვა,
ჩ. კაპანაძე,
პოლ. კარბელაშვილი,
დ. გ. კარიჭაშვილი,
დ. კასრაძე,
დ. კახელი,
ს. კედია,
დეკ. კ. კეკელიძე,
ნ. კურდღელაშვილი,
Legatus,
ეპისკოპოსი ლეონიდე,
იას. ლორთქიფანიძე,
ნ. ლორთქიფანიძე,
ტ. მარგველაშვილი,
კ. მაყაშვილი,
ი. მაჭავარიანი,
დუტუ მეგრელი,
მელანია,
შ. მღვიმელი,
ნიკო ნიკოლაძე,
გ. ჟორდანია,
გრ. რობაქიძე,
თედო სახოკია,
ტ. ტაბიძე,
ი. ფერაძე,
შ. ქარუმიძე,
ს. ქვარიანი,
გ. ქიქოძე,
ნ. ყიფიანისა,
ხვ. ყიფიანი.
გ. ყიფშიძე,
მიხ. შალამბერიძე,
ვ. შალიკაშვილი,
პროფ. ა. ცაგარელი,
აპ. წულაძე,
დ. ჭიაბრიშვილი,
ზ. ჭიჭინაძე,
სტეფ. ჭრელაშვილი,
მ. ჯანაშვილი,
ლ. ჯაფარიძე,
სამხედრო მიმ. ბ-ნი X.

**გაზეთის ფასი: მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.**

**ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.**

არა წლიურ ხელის მომწერთათვ ის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

**ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.**

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ◆ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ◆ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

მიიღება ხელის მოწერა

---

27 ქრისტეშობისთვეს, სამშაბათს დღეს ქალაქ ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## კონსტანტინე იაგორის ძის
## რუხაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი განსვენებულისა ეფროსინე ილარიონის ასული და შვილი შალვა რუხაძეები. პანაშვიდი ნაწირვებს 12 საათზე.

(2—441—1)

---

ამა წლის ქრისტეშობისთვის 13 ბრძოლის ველზე გარდაიცვალა ქართველ მსროლელთა პოლკის პოდპორუჩიკი

## უშანგი (სოლომონ) ქაიხოსროს ძე
## ჯაფარიძე

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ მიცვალებულის ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს ქართულ მსროლელთა პოლკის კომანდირი და ოფიცრები.

ცხედარს მიასვენებენ სვირის სადგურზე ქრისტეშობისთვის 23, ხოლო დასაფლავებულ იქმნება ამავე თვის 29, სოფ. ობჩის ღვთისმშობლის ეკლესიაში. პანაშვიდები ყოველ-დღე მიცვალებულის სახლში.

(2—446—1)

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

**ხუთშაბათს, 23 ქრისტეშობისთვეს, გაიმართება**

## სინემატოგრაფი
## სიმებიანი ორკესტრი

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ◆ სტუმრები საზოგადო წესით.**

(1—243—1)

---

Открыта подписка на 1917 г. на ежедневную газету

## „КАВКАЗСКОЕ СЛОВО“

(Третій годъ изданія)

**Адресъ:** редакціи и конторы: Тифлисъ, Барятинская, 6. Телеф. 14-96.
„ типографіи: Гимназическая, 1. Телефонъ 5-66.

| Подписка цѣна на газету: | для гор. подписчиковъ | для иногороднихъ |
|---|---|---|
| на 1 год. | 10 р. — к. | 12 р. — к. |
| на 6 мѣс. | 6 р. — к. | 7 р. — к. |
| на 3 мѣс. | 3 р. 50 к. | 4 р. — к. |
| на 1 мѣс. | 1 р. 25 к. | 2 р. — к. |

Допускается разсрочка подписной платы лишь для годовыхъ подписчиковъ, при условіи непосредственнаго обращенія въ контору газеты.

Пользующіеся разсрочкой уплачиваютъ: городскіе подписчики—при подпискѣ—5 р., къ 1 марта—3 р. и къ 1 мая—2 р.; иногородніе—при подпискѣ—5 р., к. марта—4 р. и къ 1 мая 3 р.

Книжнымъ магазинамъ и кіоскамъ, принимающимъ под. 5% скитки.

Плата за объявленія за строку петита: для мѣстныхъ объявленій—до текста—20 коп., послѣ текста—10 коп., для иногороднихъ объявленій—40 коп. и 20 коп. За многократныя объявленія скидка.

За перемѣну адреса съ городского на иногородній 1 руб. и съ иногородняго на иногородъ 60 коп.

---

## დილის წარმოდგენა
### ახალ კლუბის შენობაში

**ორშაბათს, 26 ქრისტეშობისთვეს, ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ ვ. გამყრელიძის მონაწილეობით**

**წარმოდგენილი იქნება:** **სამშობლო** დრ. 5 მ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, ქილარჯიშვილი, ბ-ნნი: იმხნელი, ბარველი, გამყრელიძე, გვარაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი, თარალაშვილი, ჩაგუნავა.

**ადგილების ფასი 170—30 კ.-მდე. ◆ დასაწ. დილის 12 საათზე.**

**ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.**

(3—342—1)

---

**განცხადება**

**გამოვიდა და იყიდება მშვენიერი**

## ქართული კედლის
## კალენდარი

**კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქუთაისში.**

◆ **ფასი ოთხი აბაზი** ◆

(5—294—5)

---

**სიიღება ხელის მოწერა 1917 წლის**

**სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალი**

## „ცხოვრება“-ზე

**წელიწადი მესამე**

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში თანამშრომლობენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები.

წლიურად ჟურნალი ღირება 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 75 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ Роману Спиридоновичу Панцхава.

---

## ქ. თბილისში დაარსდა
## მელნის ქარხანა
## „ალაროდია“

**ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,**

**ალიზარინის ფერისას**

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.

**ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.**

მელანი პირის გადასაღებადაც (კოპიროვკა) კარგია.

**დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება**

ადგილობრივ თუ გაგზავნით.

**საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.**

**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

(თ.—228—თ.)

---

**დეკემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში გამოვა**

**სამხატვრო-სალიტერატურო კრებული**

## საფირონი

**კრებულში მონაწილეობას იღებენ:**

ალ. ახმეტელი,
ბაბილინა,
განდეგილი,
შალვა დადიანი,
მოსე თოიძე,
თ. იანელი,
ინ-ბანი,
დ. კასრაძე,
გ. ლეონიძე,
კ. მაყაშვილი,
შიო მღვიმელი,
გ. მუმლაძე,
ნარკანი,
აკაკი პაპავა,
ტრ. რამიშვილი,
ს. ფაშალიშვილი,
ლეო ქიაჩელი,
გერონტი ქიქოძე,
სანდრო შანშიაშვილი,
ვალ. შალიკაშვილი,
ლელი ჯაფარიძე,
მ. ჭიაურელი,
და სხვ.

**მისამართი:** თბილისი. ნიკოლოოზის ქ. № 7. სანდრო შანშიაშვილს.

პროვინციის აგენტებმა წინდაწინვე უნდა გვაცნობონ, თუ რამდენ ეგზემპლიარს გაიწერენ.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ლეონიძე.**

---

**გამოცემა „ამხანაგობისა“**

გამოვიდა და იყიდება ყველგან

## „ბედი ქართლისა“
## ნიკ. ბარათაშვილის
### სრული ფაქსიმილე

**ფასი ერთი მანეთი.**



წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).

ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванкская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

---

## ვეძებ ოთახს

**ერთს, ან ორს საჭირო მოწყობილებით.** გთხოვთ მოაკითხოთ „საქართველოს“ რედაქციაში.

(5-308-4)

---

**ექიმი**

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის ხაზაზინო საავადმყოფოს** ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9\frac{1}{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

**ერლიხის „914“ და „606“**

**შეშხაპუნება**

---

**ექიმა**

## გ. მ. მეუხაძე

მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შეწყვეტა 28 ქრისტეშობისთვემდის.

---

**ექიმი**

## ვ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

---

**ექიმი**

## კ. ი. გვარჯალაძე

**შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

---

**ექიმი**

## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. ქალაქის [illegible]

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღის ქ. № 3.

## გასროლების ნაყოფი

სამარცხვინო ის კი არ არის, რომ შიშველის გულმკერდით ბრძოლის ველი ვერ დაიცვა, როდესაც მტერი ერთის თვალის დახამხამებაზე ორასი ათას ყუმბარას თავზე გაყრის და იძულებული ხდები ილტო მის წინაშე, როგორც ეს შეემთხვა რუსის უშიშარსა და მრავალრიცხოვან ჯარს გალიციაში! დამამცირებელი არც ისაა, რომ მტერმა ოსტატობაში გაჯობოს, ტეხნიკით გაგისწროს და ბევრად ნაკლების ძალით დაგამარცხოს და დაგაცლევინოს მრავალი გუბერნია, როგორც ეს მოუვიდა რუსის ჯარს რუსეთის პოლონეთში! ბედი ცვალებადია, დღეს თუ მტერი რუსეთის გულშია შემოსული, ხვალ შეიძლება თვით რუსეთი შეიჭრას გერმანეთის შუაგულში. ეს ძალთა შეფარდების უბრალო საქმეა, წინასწარ მომზადებისა და დაწინაურება-ჩამორჩენის უბრალო საქმე! ქვეყნის ზნეობრივი პიროვნება, მის თავმოყვარეობის მთელი ზნეობრივი შინაარსი უცოდველია ამ შემთხვევაში, და ეს არის ნუგეში და იმედი იმისა, რომ მომავალში ყველაფერი გამოსწორდება და რიგზე დალაგდება. ერისა და სახელმწიფოს ჯანსაღობის რეპუტაციას ასკეც უჯობს, ბრძოლის ველზე კიდევ რამდენიმე დამარცხება განიცადოს, ვიდრე... ვიდრე რასპუტინები გაიდიდკაცოს, გაიბატონოს და შემდეგ მის სისხლში ხელი გაისვაროს!

დღეს რასპუტინის მოკვლის ამბავმა დაჩრდილა ფრონტიც და ჯარის ზურგიც. უმაღლესი წრეები და მთავრობის მაღალი მოხელენი თავით ფეხამდის ამ საქმეში ჩაეფლნენ.

ვინ იტყვის, რომ რასპუტინის სისხლი ახალ-ახალ მკვლელობის მიზეზად არ გადაიქცევა, რომ ეს არ იქნება ერთგვარი სიგნალი პოლიტიკურის ტერორისა. თუმცა ეს საოცარია, მარამ რასპუტინი ერთ განსაზღვრულ პოლიტიკურ მიმდინარეობის და ორიენტაციის ბურჯად ითვლებოდა. რასპუტინს დარჩნენ მეგობრები და მისგან დავალებული პირები მთავრობისა, თუ სხვა მაღალს ოფიციალსა და და არა ოფიციალ პოლიტიკურს წრეებში და ესენი სამაგიეროს მიზღვევას მოისურვებენ, შურის ძიებას დაეწაფებიან. ვიცით, რომ მილიუკოვის გალაშქრებას რასპუტინისა და მის კომპანიის წინააღმდეგ მოჰყვა ჭეშმარიტ რუსთა კავშირის დადგენილება ამ გალაშქრების ავტორის მოკვლის შესახებ. ეხლა რასპუტინის მოკვლას, ბევრად უფრო რადიკალი შედეგები რომ მოჰყვეს, ეს ჩვენთვის არც მოულოდნელი უნდა იყოს და არც გასაკვირი. და ეს სწორედ იმიტომ, რომ რასპუტინის მოკვლით ახდილი დუელი იწყება ორს პოლიტიკურ ორიენტაციას შორის. სადამდე უწევს ეს დუელი, ძნელი სათქმელია, რადგან რუსეთის ნერვები დღეს ერთობ გაღიზიანებულია და ადვილად შეიძლება ქვეყანამ ამ შინაურ შემძრწუნებელს ორონტრიალში ჰპოვოს თვისი გასართობი. და გარედ, მტრის წინააღმდეგ, დასახარჯი ენერგია ერთმანეთის საწინააღმდეგოდ შინ მოიხმარონ; იქნებ ზოგის თვალში ასეთი საქმე ომის სალიკვიდაციო საშუალებადაც იყოს მიჩნეული.

ის გარემოება, რომ ამ მკვლელობაში მინაწილეობას იღებდნენ დიდი პოლიტიკური მოღვაწეები, აშკარად მოწმობს, რომ რასპუტინი დიდ ვინმედ იყო მიჩნეული და დიდს როლსაც თამაშობდა რუსეთის უმაღლესი პოლიტიკურ ცხოვრების მართვაში. ხოლო თუ მის **curriculum vttae**-ს, მის წარსულს, ვიკითხავთ, აღმოჩნდება, რომ განსვენებული ერთი გაუთლელი რუსის მუჟიკი იყო, რომლისთვისაც ტობოლის სასამართლოს ერთ დროს „გაროზგვა“ მიუსჯია ცხენის მოპარვისა და ცრუმოწმობისათვის! ასეთი ადამიანი, ყოველგვარი წარმოდგენის წინააღმდეგ, პეტროგრადში ჩასვლის უმალვე მაღალწრეებში მოხვდება და ქვეყნის ბედს სათავეში მოექცევა. სრულიად გაუნათლებელი, მურდალი და უზნეო მუჟიკი, რომელსაც არავითარი ღირსება არ გააჩნდა გარდა წმინდა მამაკაცობისა, მთელ პოლიტიკურ ორიენტაციის ფარული ბელადი გახდა.

ამაში გამოითქვა ქვეყნის პოლიტიკის ზნეობრივის ჯანსაღობის სრული სიკოტრე. ეს იყო სამარცხვინო და დამამცირებელი. პოლიტიკური გახრწნილება არსად, არც ერთ ქვეყანაში, ასე შორს არ წასულა.

დღეს რასპუტინი აღარ არის.

იქნებ, მკვლელებს სურდათ თავიანთ ქვეყნისთვის სამარცხვინო ლაქა ჩამოერეცხათ და გამეფებული გახრწნილება რევოლვერის გახურებული ტყვიით ამოეწვათ და ამ გატაცებაში ის ვერ შეამჩნიეს, რომ რასპუტინის მოკვლაც იმდენად სამარცხვინოა თავმოყვარე და საღი საზოგადოებისთვის, რამდენადაც სამარცხვინოა თვით შესაძლოებაც კი, რომ რასპუტინები, თუნდაც ერთის დღით, ქვეყნის საჭეს ხელთ დაიჭერენ!

**ძველი ქართველი**

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

რუსეთის სამხედრო მიმომხილველთა აზრით, მოპირდაპირეს დიდვლახეთში მდ. სერეტის დაპყრობა აქვს მიზნად. მთელი ოპერაცია, მათის აზრით, ამ ბუნებრივ ზღუდის აღებისთვისაა გამოწვეული. მდ. სერეტი, რომელიც მოლდავეთის ველით მოდის და უერთდება მდ. დუნაის, მართლაც ერთგვარი საფარია ბრძოლის ველზე. გამაგრება ამ მდინარის ნაპირებით უფრო ადვილია. საკითხავია მხოლოდ ის, თუ ვისთვის უფროა საჭირო დღეს-დღეობით ამ მდინარის დაცვა-დაპყრობა: რუს-რუმინელთა ჯარისათვის, თუ გერმანელთათვის? ისიც მართალია, რომ დღეს დღეობით გერმანელნი უპირველესად მდ. სერეტის დაპატრონებას შეეცდებიან. ეს აუცილებლივ საჭიროა, რადგან მორიგი სიმაგრეა და მის გადაულახველად შეუძლებელია წინსვლა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მდ. სერეტის დაპყრობაა ახლა წარმოებულ ოპერაციის მიზანი. გერმანელთა განზრახვა რომ უფრო ფართე არ იყოს, მაშინ დღევანდელ ბრძოლის ველის მოხაზულებაზე გაჩერდებოდნენ და პოზიციურ ბრძოლაზე გადავიდოდნენ. რადგან მაშინ გერმანელნი უფრო ხელსაყრელ პირობებში იქნებოდნენ, ვიდრე რუს-რუმინელნი. დიდვლახეთში რუს-რუმინელთათვის მხოლოდ მდ. სერეტიდაა ერთად-ერთი ბუნებრივი სიმაგრე. რაკი ამ მდინარეს ამოეფარებიან, მაშინ ცოტათ თუ ბევრათ უზრუნველყოფილნი იქნებიან და მტერს უფრო მეტად გაუმკლავდებიან. მაგრამ თუ დღევანდელი მოხაზულება დარჩება, ე. ი. რუს-რუმინელთა ჯარი მდ. სერეტის წინ მინდვრად იქნება გაშლილი, ცხადია, ყოველთვის შიშს ქვეშ მოუხდება მოქმედება. მაშასადამე, გერმანელთათვის უფრო ხელსაყრელია რუს-რუმინელთა დღევანდელ პოზიციებზე იყვნენ გაჩერებულნი, ვიდრე მდ. სერეტზე. თუ ამ გარემოებას იგი გვერდს უხვევს და აუარებელ ძალებით მოპირდაპირეს აწვება, ცხადია, მას მარტო მდ. სერეტის დაპყრობა არ აინტერესებს.

არა ერთხელ გადმოუცია ოფიციალ დეპეშას, რომ მოპირედაპირეს, სახელდობრ, დობრუჯაში, ფოკშერის ველში და მდ. ოიტუზის და ტროტუშის მიდამოებში მრავალრიცხოვან ჯარისათვის თავი მოუყრიაო. ამასთანავე, ცნობა იყო, რომ გერმანელნი აუარებელ მძიმე ზარბაზნების დახმარებით აწარმოებენ იერიშებსო. სხვა რომ არა იყოს, მარტო გენ. ტოშევის მთელი კორპუსით იერიშების წარმოება ბევრს ეჭვს ჰბადებს და გვაფიქრებინებს, რომ მტერი ახალ გეგმების მიხედვით მოქმედობს, რომლის მიზანია ბესარაბიაში შეჭრა და მდ. დნესტრზე გამოსვლა. გენ. ტოშევს დღევანდელ პირობებში, მხოლოდ დობრუჯის დარჩენილ ადგილების დასაპყრობად სრულებითაც არა სჭირია მრავალრიცხოვანი ჯარი. ვინ არ იცის, რომ რუს-რუმინელნი მხოლოდ მოგერიებით გზას ადგანან და იერიშებზე და წინსვლაზე არ ჰფიქრობენ. მაშასადამე, გენ. ტოშევს, თუ კი მარტო დობრუჯის დაცვა ექნებოდა ნაკისრი, სრულებითაც არ დასჭირდებოდა აქტიური მოქმედება. გენ. ფონ-დელმენზინგენის არმია, რომელიც ქ. ბრაილოვით უტევს, თავისით გადასწყვეტდა დობრუჯის საკითხს. ცხადია, გენ. ტოშევის ხელმძღვანელობით შეგროვილ ჯარს მარტო დობრუჯის დაპყრობა არ აქვს დავალებული. ჩვენა გვგონია, იგი დიდ ვლახეთის ოპერაციის დასრულებას ელის. ამან კი საშუალება უნდა მისცეს მას მდ. დუნაი გადალახოს. მხოლოდ ამ მანევრის შემდეგ იგი, უეჭველია, შეესევა შავის ზღვის ნაპირებით ბესარაბიას.

სწორედ ამავე განზრახვით აწარმოებს ოპერაციას გენ. ფალკენჰაინიც. რაკი ფოკშერის ველით მდ. სერეტს მიაღწევს, უეჭველია, იგი ამ მდინარის გადალახვას შეეცდება და დნესტრისკენ გაიჭრება. რუმინეთის ოპერაცია მდ. სერეტის დაპყრობით არ დამთავრდება. ამასვე მოწმობს მოლდავეთში დაწყებული სასტიკი ბრძოლა.

ოფიციალი დეპეშა გვატყობინებს, თუ რა აუარებელი ზარალი მოსდის მოპირდაპირეს კარპატების ხევებში. იგი ლამობს მოლდავეთის ველში ჩამოვიდეს და ამ მიზნის მისახწევად არაფერს ჰზოგავს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქაც მათ მხოლოდ მდ. სერეტი აქვთ სახეში. განა კარპატების მთები უფრო მარჯვე საფარი არ არის მოპირდაპირისთვის, ვიდრე ველად რამოდენიმე მდინარე? ან-და განა ფოკშერის ველით არ შეეძლოთ გაენთავისუფლებინათ მათ ოიტუზის და ტროტუშის პოზიციები რუს-რუმინელთა ჯარებისგან? ცხადია, იგინი მხოლოდ სერეტის დაპყრობით არ არიან გატაცებულნი. მოლდავეთით გამოსული მოპირდაპირე ახალ საბრძოლველ მიდამოს აჩენს, რის შემდეგ ბრძოლა მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნება.

X.

## ომის დეპეშები

22 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მოპირდაპირეთა საფრენებმა ძალიან გაახშირეს მოქმედება და სხვა და სხვა ადგილას ყუმბარების დაშენა. ერთი მათგანი სოფ. იჟასთან ჩამოვაგდეთ კიშნევსკის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მფრინავი, აფიცერი და ჯარის კაცი დავატყვევეთ. პორსკვულკას მიდამოებში, კოველის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩვენმა მფრინავებმა მტრის 2 საფრენი ჩამოაგდეს, საფრენები და ზედ მყოფი 4 კაცი დაიმსხვრა. ზოლოჩევის მიმართულებით სოფ. ვატკუვ-მანაუკის და გარბუზოვის მიდამოებს მოპირდაპირემ მედგრად დაუშინა ზარბაზნები, რის შემდეგაც მთელ ამ ბრძოლის ხაზზე იერიშით წამოვიდა. თუმცა ჩვენც მედგრად ვუშენდით ზარბაზნებს, მტერი მაინც შემოიჭრა ერთ-ერთი როტის თხრილებში, მაგრამ სამაგიერო იერიშით მყის გავდევნეთ. ამავე დროს სოფ. მანილოვკის მიდამოებში მტერი მოშხამულ გაზით გატენილ ყუმბარებს გვიშენდა, ყუმბარები, გასკდომის მერე, სქელ ყვითელ ბოლს აყენებდა და დიდხანს არ იფანტებოდა. დნესტრზე, იეზუპოლის მიდამოებში ზარბაზნების სროლით მტრის სანგრების მთხრელი მუშები გავფანტეთ.

მოლდავიის მიჯნებთან სოფ. კოტუმბოდან მდ. სულჩამდე და მის სამხრეთით მოპირდაპირე ორჯელ წამოვიდა იერიშით, მაგრამ ყველგან მოვიგერიეთ. აქ ერთს მაღლობზე გუშინ დაკარგული თხრილები დავიბრუნეთ.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. კასინის ჩრდილოეთით, უნგრეთის მიჯნის აღმოსავლეთით 8 ვერსზე რუმინელებმა შეტევა იწყეს. სოვაჯის აღმოსავლეთით მდ. სუშიცას სათავის მხარეს მოპირდაპირემ დილით იერიში მიიტანა რუმინელებზე, მაგრამ უკუაგდეს, მან დასავლეთისაკენ დაიწია. რუმინელთა ცხენოსანი ჯარი დაედევნა. დღისით მოპირდაპირემ გაძლიერებულის ძალით განაახლა იერიშები და რუმინელებს ძველს პოზიციებზე დაახევინა. ზარბაზნების მედგარი სროლით და მოშხამულ გაზით გატენილ ყუმბარების სროლის დროს მოპირდაპირემ შეჯგუფებულის რაზმებით იერიშით წამოვიდა ფოქშანის სამხრეთ-დასავლეთით მობანაკე ერთ-ერთ ჩვენს პოლკზე რკინის გზის გასწვრივ. მედგარი სროლით დავხვდით და მტერი თავის სანგრებშივე მიაბრუნეთ. მას მერე მოპირდაპირეს იერიშები აღარ განუახლებია. მდ. რიმნიკის შესართავის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ერთი მსროლელთა პოლკი უეცრად დაეცა ს. გულიანკას, დაიპყრო იგი და ხელთ იგდო: 6 აფიცერი, 2 ექიმი, 205 ჯარისკაცი, 5 ზარბაზანი და 8 ტყვიისმფრქვეველი. დავიპყარით აგრეთვე ს. კიევენუ, და ს. მაქსიმენი, ს. გულიანკის სამხრეთ-აღმოსავლეთით და მტერი სამხრეთისაკენ დავწიეთ.

დობრუჯაში მთელი დღის განმავლობაში მოპირდაპირეს იერიში იერიშზე მოჰქონდა მაჩინის მიდამოებში. იერიშები მოვიგერიეთ, მოპირდაპირე უკანვე გაბრუნდა.

**კავკასიის ასპარეზი.** კალკიტას დასავლეთით ჩვენმა მზვერავებმა ოსმალების სადარაჯოები გაარღვიეს და ხელჩართულ ბრძოლის დროს ხელთ იგდეს ტყვეები და იარაღი.

### საბერძნეთი.

(პ. დ. ს.)

ახლა თვალსაჩინო გახდა, რომ საბერძნეთი არას გზით არ მოურიგდება მოკავშირეთ. უმაღლეს სამხედრო წრეებში დაჟინებით ამბობენ: თუ ამ დღეებში საბერძნეთის ნაპირთა გარემოცვა არ მოიხსნა, მობილიზაცია აუცილებელიაო. ბრძანება გასცეს, სათადარიგონი პირველ ძახილზე გამოცხადდენ. ბერძნები სხვა და სხვა ხერხით ცდილობენ ბულგარელების ჯართან შეერთებას.

ადგილობრივი გაზეთების სიტყვით, საბერძნეთის აღორძინებისათვის, საჭიროა მისი ბედ-იღბალი მოკავშირეებმა გადასწყვიტონ. ლიბერალთა დაპატიმრება გრძელდება.

ტერორი მეფობს. [illegible] მისიის ორთქლ-მავალი [illegible] მელზედაც რუსთა ქვეშევრდომნი იმყოფებიან, საფრანგეთის ვიცე-ადმირალის ხელში გადადის და დღეს იტალიის ერთ-ერთ ნავთ-სადგურში გავა. რუსებს ათინიდან გასვლის წინადადება მისცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### რუსეთის ასპარეზი.

რუსეთის დასავლეთის ასპარეზი თან და თან ცოცხლდება. „რ. ს.“-ს თანამშრომელი ნ. ვერხოვსკი იტყობინება: მეტად ცხარე და მედგარი ბრძოლაა ზარბაზნებისა დვინსკის მიდამოებში.

გერმანელებმა დილიდანვე გაძლიერებული სროლა აუტეხეს ილუკსტის მიდამოებს, მეტ წილად მოშხამულ გაზით გატენილ ყუმბარებით. რუსებიც ზარბაზნებით უპასუხებდნენ. ცხარე ბრძოლამ ორ საათს გასტანა. ამის შემდეგ მოპირდაპირემ უფრო გააძლიერა სროლა, აახმაურა მორტირები, ყუმბარის მტყორცნელები და ნაღმის მტყორცნელები. საღამოს ჟამს გერმანელები ქარიშხლისებურ გვიშენდნენ მოშხამულ გაზით გატენილ ყუმბარებს. თითო პატარა ნაჭერ მიწაზე 200-ზე მეტი ასეთი ყუმბარა მოდიოდა. ასეთი სროლა შუაღამემდე გაგრძელდა. დილით ბრძოლა დასცხრა.

### სპარსეთი.

სამხრეთ სპარსეთში კვლავ ამოძრავდნენ გერმანელების აგენტები. „რ. ს.“ თეირანიდან ატყობინებენ, რომ ცნობილი გერმანელი ვასმუსეს მეთაურობით მთელი შეიარაღებული რაზმი ყაზრანიდან შირაზისაკენ მიემართება, თურმე. შირაზს სდარაჯობს ინგლისელ გენერალ საიქსის მიერ ახლად შედგენილი რაზმი.

### ინგლისი.

ინგლისის პრემიერ მინისტრს ლლოიდ ჯორჯის წინადადებით ლონდონში თებერვლის გასვლამდე თავი უნდა მოიყაროს ინგლისის ახალშენთა ექვსმა მინისტრმა. ეს ახალშენთა პრემიერ მინისტრები ლონდონში დარჩებიან ომის დასრულებამდე და სამინისტროს სხდომებს დაესწრებიან და მონაწილეობას მიიღებენ როგორც სამხედრო ისე ომთან დაკავშირებულ სხვა საკითხების გადაწყვეტაში. ამის გამო „დაილი ნევს“-ი სწერს: საკვირველია, რომ ხუთი მინისტრისაგან შედგენილი მთავრობა შესაძლებლად სთვლის ასეთ მძიმე და პირველ საკითხოვან საკითხების გადაწყვეტას ახალშენების მინისტრებს ანდობსო. ისინი ხომ უმრავლესობას შეადგენენო.

### საბერძნეთი

ათინაში ეხლა მხოლოდ გერმანელების მოტრფიალე გაზეთები გამოდის. სხვა გაზეთების რედაქციები აიკლეს, რედაქტორ-თანამშრომლები ზოგი ციხეში ჩაასწყვდიეს, ზოგი სალონიკს შეეხიზნა. მათი სტამბებიც აიკლეს.

## რუმინეთის ნავთიანი ადგილები

დღეს, როდესაც მეტი ნაწილი რუმინეთის სამეფოსი ცენტრალ სახელმწიფოთა ხელშია, სხვა და სხვა დარგი ამ ქვეყნის მრეწველობისა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი სიმდიდრე ჩაუვარდა ჩვენს მტრებს ხელში და რამდენად ამ სიმდიდრის მოხმარება გააქარწყლებს ეგრედ წოდებულ „გერმანეთის გარემოცვას“.

ჩვენ ვიცით, რომ სანამ რუმინეთი ომში ჩაერეოდა, ინგლისმა და საფრანგეთმა შეიძინეს რაც კი რუმინეთის ბაზარზე მოიპოვებოდა ხორბალი და აზრადა ჰქონდათ ეს ხორბალი ომის შემდეგ თავიან ქვეყნებში გაეტანათ. ამათ ამ ხერხს განსაკუთრებით იმისთვის მიმართეს, რომ გერმანელებს არ ეყიდნათ და არ გაეტანათ ეს ხორბალი. ისიც ვიცით, რომ გერმანელებს ეს ხორბალი მაინც ჩაუვარდათ ხელში, მაგრამ ფულის საშუალებით კი არა, არამედ ბუქარესტზე გენერალ მაკენზენის თავდასხმით. გარდა ხორბლისა და სხვა საჭირო მასალისა, გერმანელებს ხელში ჩაუვარდათ, ის ნაწილი რუმინეთისა, სადაც ნავთის მრეწველობა სწარმოებს. ბუქარესტიდან სულ 50 კილომეტრის მანძილზეა, ჩრდილოეთით, ცენტრი ამ მრეწველობისა, უმთავრეს რაიონებად მორენი და კამპინა ითვლება.

საერთოდ ნავთის საკითხი ევროპის სახელმწიფოთათვის მწვავე საკითხს წარმოადგენს, რადგანაც მნიშვნელოვანი ნავთით მდიდარი ადგილები მხოლოდ ევროპის სამ ადგილას არის: რუსეთსა, გალიციასა და რუმინეთში.

აქედან ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანია-ავსტრო-ჰუნგრეთისათვის გალიციის შენარჩუნებას და რუმინეთის დაპყრობას. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ რუმინეთის ნეიტრალ მდგომარეობაში ყოფნის დროსაც გერმანეთს არ ეძინა და ფაქტიურად ჩაიგდო ხელში თითქმის მთელი ნავთის მრეწველობა. თუ რამდენად ბატონობდა გერმანეთის კაპიტალი ბაზარზედ, შეგვიძლია დავინახოთ იმ ცნობებიდან, რომელიც ასე დიდი ხანია გამოქვეყნდა ფრანგულ პრესაში.

1915 წელს გერმანულ ბანკების საშუალებით, ვილჰელმის მთავრობამ შეიძინა სამი დიდი ფირმა. მათი წლიური ნაწარმოები უდრიდა 1.085.653 ტონს*)

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წლიური ნავთის ნაწარმოები რუმინეთისა უდრის 1 ნახევარ მილიონ ტონას, მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ 69.5 პროცენტი ამ ნაწარმოებისა გერმანელთა კაპიტალების განკარგულებაში იმყოფებოდა. საზოგადოება **Steana Romana** კი სრულებით გერმანელთ ეკუთვნოდა და თავმჯდომარედ ამ საზოგადოებისა წინედ იყო გერმანეთის ვიცე-კანცლერი გელფერიხი.

როცა რუმინეთი შეთანხმების კოალიციას შეუერთდა, რუსეთის მთავრობამ განსაკუთრებული რწმუნებული გაგზავნა რუმინეთში, რომელსაც დავალებული ჰქონდა რუმინეთიდან დასავლეთ რუსეთში ნავთის გადმოზიდვის საკითხის მოწესრიგება. ქალაქმა ოდესამაც თავის მხრივ ზომები მიიღო, როგორც ყველაზედ უფრო დაინტერესებულმა. ეს ზომები რუსეთს იმისთვის კი არ დასჭირდა, რომ თვითონ ნავთი შემოელია, ნავთი ბევრი აქვს, მაგრამ გადაზიდვის საკითხია ძლიერ მოუწესრიგებელი. რკინის გზისათვის მოძრავი მატერიალი არა ყოფნის, შავი ზღვით კი გატანა არ იყო სრულიად უზრუნველყოფილი. რუმინეთის ჩარევით უნდოდა ესარგებლა რუსეთის მთავრობას და ესაზრდოვებინა რუმინეთთან ახლო მდებარე რაიონი რუმინეთის ნავთით, მაგრამ, საუბედუროდ, მტრის მხედრობამ ჩაშალა ეს გეგმა და განსაკუთრებულნიც უკან დაბრუნდენ.

გავიცნოთ რუმინეთის ნავთის მრეწველობა უფრო დაახლოვებით. ნავთის ამოღება უდრიდა 1857 წელს მხოლოდ 275 ტონას, 1901 წ.—200.000 ტონას და 1914 წელში კი ათჯერ მეტს, ე. ი. 2 მილიონ ტონას. ომამდინაც რუმინეთს მსოფლიო ბაზარზე მეოთხე ადგილი ეჭირა შეერთებულ შტატების, რუსეთის და მექსიკის შემდეგ. თანამედროვე ომმა რუმინეთის ნავთის წარმოება ძლიერ მძიმე პირობებში ჩააყენა. საქმე ის გახლავთ, რომ თითქმის მთელი ექსპორტი ნავთისა ნავთსადგურ კოსტენჯედან ბოსფორის სრუტით სწარმოებდა, ევროპის სხვა და სხვა პორტებში. დარდანელის და ბოსფორის დახურვით სრულიად შესწყდა ექსპორტი ზღვით. რუმინეთი ნეიტრალ მდგომარეობის გამოც ხმელეთით ვერ აწარმოებდა გაბედულ ექსპორტს. ომში ჩარევამ მას ხელები გაუხსნა, მაგრამ საუბედუროდ, ძლიერ ხანმოკლე იყო ეს თავისუფლება ექსპორტისა და, რაც კი ამ ომის დროს ნავთი დაგროვდა, სულ გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში, რასაკვირველია, იმის გარდა, რისი დაწვა და დაქცევა მოახერხეს.

იმის წარმოსადგენათ, თუ რამდენი ნავთი ჩაუვარდათ გერმანელებს ხელში, საჭიროა რამოდენიმე ცნობა მოვიყვანოთ აქ. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ წლიურათ რუმინეთში $1^1/_2$ მილიონ ტონ ნავთს იღებენ. 1915 წლიდან ექსპორტი თითქმის სრულებით შესწყდა, მაგრამ ამავე დროს, ამოღებამაც ცოტა დაიკლო. 1914 წელს გატანილი ნავთი 700,000 ტონამდის ადიოდა, 1915 წლის მიწურულში კი ერთ მილიონ ტონას აღემატებოდა, ამის შემდეგ ომში ჩარევამდის რუმინეთს, სულ უკანასკნელი, $^1/_2$ მილიონი ტონის ამოღება შეეძლო. ასე რომ იმ დღეს, როდესაც რუმინეთი ომში ჩაერია, მას ფირმების ჭურჭლებში $1^1/_2$ მილიონი ტონა ნავთი ექნებოდა. თუ ვივარაუდებთ, რომ $^1/_2$ მილიონი ტონის დაწვა და დაქცევა მოახერხა რუმინეთის მხედრობამ, ვინაიდან ნავთის აუზები ერთს ადგილს არ იმყოფება, მაშინ დავინახავთ, რომ გერმანეთს ნადავლად ხვდებოდა ერთი მილიონი ტონა ამოღებული ნავთისა. თუ მივიღებთ მხედველობაში აგრეთვე, რომ წლიური მოთხოვნილება ნავთისა გერმანეთში $^1/_2$ მილიონ ტონას უდრის, დავინახავთ, რომ გერმანეთი ეხლა უკვე ორი წლით არის უზრუნველყოფილი ნავთით. მაგრამ გერმანეთი ხომ მარტო არ არის, მას ზურგზედ ჰკიდია ავსტრო-ჰუნგრეთი, ოსმალეთი, ბულგარეთი და ყველა დაპყრობილი მიწები. ეს მართალია, მაგრამ მართალია ისიც, რომ რუმინეთის ჯარს თან არ წაუღია ის ადგილები, სადაც ნავთის მრეწველობა სწარმოებდა. ეხლა ის ადგილები გერმანელთა ხელშია. დიახ, ამ ყველასათვის მოულოდნელმა დამარცხებამ რუმინეთისამ გერმანელებს საშუალება მისცა ნავთის მწვავე კრიზისი თავიდან აეშორებინა.

გერმანელებს თავიანთ ინდუსტრიისათვის არა სჭირიათ მაინცა და მაინც ნავთი, ამისათვის იმათ ნახშირი აქვთ. ნავთს ხმარობენ საქიმიო ქარხნებში სხვა და სხვა ზეთების გამოსახდელათ, ხმარობენ კიდე ბენზინის გამოსახდელად, რომელიც ავტომობილებისათვის არის საჭირო, მაგრამ უმეტეს ნაწილს ნავთისას ამ ჟამად წყალქვეშა ნავები სწვავს. წყალქვეშა ნავებში ნახშირს, როგორც საწვავ მასალას, არა ხმარობენ, იმ მოსაზრებით, რომ ნახშირს დიდძალი კვამლი აქვს და, გარდა იმისა, კვამლი ადვილად ამჟღავნებს წყალქვეშა ნავის სადმყოფობას ზღვაზე, მაშინ კი, როდესაც ნავი წყალში ჩაიძირება, კვამლის გამოშვება ძნელია. ამ ფრიად მნიშვნელოვან მოსაზრებამ აიძულა ტეხნიკოსები, რომ საწვავ მასალად წყალქვეშა ნავებზე განსაკუთრებითი ნავთი შემოეღოთ. საქმე ისაა, რომ ადგილს დიდი ფასი აქვს წყალქვეშა ნავებში. წყალქვეშა ნავების გეგმის შედგენის დროს ტეხნიკოსებს რამოდენიმე, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, დებულებანი უნდა შეეთანხმებინათ. ერთი, რომ ნავი, რაც შეიძლება, მჩატე იყოს, რომ სწრაფად შეეძლოს ზღვის სიღრმეში მოძრაობა, ამისათვის საჭიროა, რომ ნავი შედარებით პატარა ზომისა იყოს; მეორის მხრით, საჭიროა, რომ ნავმა, რაც შეიძლება, დიდს ხანს გასძლოს გაშლილ ზღვაში თავის მასაზრდოებელ ბაზას მოშორებულმა, ამისათვის კი საჭიროა, რომ მას, რაც შეიძლება, მეტი ჰქონდეს ადგილი სხვა და სხვა საქონლის დასაწყობად, როგორც საწვავ მასალისათვის, ჟანგბადის ბოთლებისათვის, (ზღვის სიღრმეში ყოფნის დროს მეზღვაურნი ხელოვნურ ჰაერს სუნთქამენ), სურსათისათვის და სხ. რადგანაც ყველა არსებულ საწვავ მასალებიდან, რომელთაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, ნავთი შეიცავს ყველაზე მეტ სათბობ ენერგიას, ერთსა და იმავე წონაში,--ნავთს უპირატესობა მიანიჭეს (ერთი კილოგრამი საშუალო ხარისხის ნახშირისა იძლევა 5.000 დიდ კალორის, ერთი კილოგრამი ნავთისა კი 11.000 დიდ კალორს და მეტსაც) ასე რომ ერთი და იგივე წონა ნახშირისა და ნავთისა რომ ავიღოთ, თუ ნახშირით ნავი იმოგზაურებს ათ საათს თავის ბაზაში დაუბრუნებლათ, ნავთით იმოგზაურებს ორჯერ უფრო მეტს ხანს და, მაშასადამე, დაახლოვებით ორჯერ უფრო მეტ მანძილს გაივლის.

თუ ჩვენ დაეუბრუნდებით ჩვენს თემას დავინახავთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანეთისათვის იმ გარემოებას, რომ ამ ჟამად რუმინეთის ნავთიანი ადგილები ხელში ჩაიგდო.

იმ დროს, როდესაც ცენტრალ სახელმწიფოთა კოალიცია ხმელეთზე გამარჯვებულად გრძნობს თავს, იმ დროს, როდესაც, შეიძლება, ომის ბედი დამოკიდებული იყოს ზღვაზე დიდის ოპერაციების მოხდენით, ამ სიმდიდრეთა ხელში ჩაგდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. შეიძლება, ნავთის ნაკლებულობით აიხსნას, რომ ამ დაბოლო დროს გერმანელთა წყალქვეშა ნავების მოქმედება ცოტათი მიდუნებული იყო; თუ ეს ასეა, მაშინ უნდა მოველოდოთ, რომ ამის შემდეგ მოქმედებას საგრძნობლათ გააცხოველებენ იმისთვის, რომ ნავთი, რომ იტყვიან, თავსასხმელად აქვსთ.

**გ. ჟანელიძე.**

---

*) ტონი=62 ფუთს.

ათინის გაზეთები მოუწოდებენ მთავრობას და ხალხს მოკავშირეთა წინააღმდეგ გადაჭრილ ზომების მისაღებად. საერთოდ მდგომარეობა ისეთია, თითქმის ყველა ნარზე ზის და რიღაცის მოლოდინშია.

### მეფე კონსტანტინე.

გაზეთების ცნობით მეფე კონსტანტინე ავად გამხდარა და სადარბაზოდ არავის ღებულობს. როგორც ძველი გამოცდილებით ვიცით, მეფე კონსტანტინე მაშინ გახდება ხოლმე ავად, როცა საქმის ვითარება ისე მოეწყობა, რომ მისთვის ხელსაყრელი არ არის სადარბაზოდ მიიღოს ვინმეო, გადმოგვცემენ გაზეთები. ეხლაც ამავე მიზეზით არის გამოწვეული ეს „ავადმყოფობაო“.

### მოკავშირეთა დესპანები.

„რ. ს.“ გადმოგვცემს: რადგანაც დიპლომატიურ მოლაპარაკებას არავითარი აზრი აღარა აქვს, ათინიდან მოკავშირეთა დესპანები ამ დღეებში თავ-თავის სამშობლოს დაუბრუნდებიანო.

### პალატის მოწვევა.

მეფე კონსტანტინემ აუწყა მოკავშირეთა დესპანებს: ამ დღეებში ვიწვევ პალატის კრებას, რომელიც თქვენის მოთხოვნილებით 8 თიბათვეს დავითხოვეო. ამასთანავე გაახსენებს, საბერძნეთის სანაპიროთა გარემოცვა მალე მოხსენითო.

## რუმინეთი.

### სერეტის მნიშვნელობა

როგორც დეპეშებითაც ვიცით, რუმინეთის ასპარეზზე ბრძოლის დედაგული მდ. სერეტის ხაზზე გადავიდა. ამის თაობაზე „ბ. ვ.“-ის სამხედრო მიმომხილველი ვ. შუმსკი სწერს: სერეტის ბრძოლის ხაზს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ერთის წუთითაც რომ წარმოვიდგინოთ სერეტის ხაზის დაპყრობა მტრის მიერ, უნდა ვიგულისხმოთ აგრედვე, რომ მოპირდაპირე რუმინეთის ასპარეზიდან ძლიერის ტალღებით მყის გაექანება რომელიმე სხვა ასპარეზისაკენ და მედგარს ქარიშხლისებურ შეტევას დაიწყებს ახალ ხაზზე.

## ახალი საფრენი

ამერიკული ჟურნალი „Scientific Americau“-ი გადმოგვცემს: ამერიკაში სამხედრო საჭიროებისათვის უკვე ხმარებაშია ახალი ჯურის საფრენი, რომელიც მთელ ტვირთიანად 26 ფუთს იწონს. ამ საფრენს საათში შეუძლიან 67—180 ვერსი გაიაროს. იგი თითქმის სამი ვერსის სიმაღლეზე ადის და წუთში შეუძლიან 343 საჟენზე აფრენა.

## ჰინდენბურგის გეგმა

ბევრნაირი ხმაა გავრცელებული, თუ ჰინდენბურგი, რუმინეთში საქმის გათავების შემდეგ საით მიჰმართავს ამ ასპარეზზე განთავისუფლებულ ჯარს. ამ საკითხის თაობაზე „რეჩ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: სტრატეგიულ გზების ასაბნევად გერმანელები კვლავ ავრცელებენ ხმას, ვითომც ავსტრია-გერმანელები დიდ ჯარს ამზადებენ იტალიის ასპარეზისაკენ გასაგზავნად და იზონცოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად, ხოლო გერმანელ-ბულგარეთის ჯარი კი სალონიკისაკენ გაიგზავნება სარაილის წინააღმდეგ საბრძოლველადო. ასეთი ხმების გავრცელებით ჰინდენბურგს მხოლოდ დროს მოგება ჰსურს, რათა ჯარის ახალი დარაზმვა მოასწროს საგაზაფხულოდ პოლონეთსა და რუსეთის ჩრდილოეთ და დასავლეთ ასპარეზისათვის. მხოლოდ იტალიის მთავრობის მუქარა იყო ისიც, რომ ავსტრიის იმპერატორმა დაჰხედა ბოროევიჩის ჯარის ასპარეზს. ამით ჰსურდა იტალიისათვის ეგრძნობინებინა ტრენტინისა და იზონცოსაკენ ახალი იერიშების სამზადისს ტყუილ უბრალოდ ნუ ეწევიო. მართლა რომ განზრახული ჰქონოდა ჰინდენბურგს იტალიის ასპარეზზე ამოქმედება, ბუქარესტის დამხობის შემდეგ მძიმე ზარბაზნებს იქით უზამდა პირს. დღევანდლამდე კი არ ემჩნევა არც ზარბაზნების და არც ჯარის გადაყვანა იტალიის ასპარეზისაკენ.

### ტრაპიზონის მოსახლეობა

ქალაქში სცხოვრობს 62,699 სული; მათგან ოსმალო—42,233; ბერძენი—20.301, სომეხი—165. თუ აქედან ქალებსა და ბავშვებს გამოვყოფთ, მაშინ 1.500 კვადრ. ვერსზედ 11.282 მამაკაცი მოდის. თვითეულ ოსმალო მამაკაცზე მოდის შვიდი ქალი და ბავშვი, ბერძენზე ოთხი დედაკაცი და ბავშვი. სომხებში კი მამაკაცი რიცხვით ხუთჯერ მეტია ბავშვებ-ქალებისაზე. ნათლად სჩანს შედეგი „ევაკუაციისა“. რაცა შეეხება ეკონომიურ ცხოვრებას, შეძლებულად სცხოვრობენ ბერძნები, ფრიად განადგურებულია ოსმალთ სოფლები. მარტო პლატონის ოლქში 41 გაოხრებული სოფელია, აღმოსავლეთისაკენ—7.

საყურადღებოა ციფრები მესაქონლეობის შესახებ: 400 მცხოვრებზე 1 ცხენი მოდის, 220-ზე—1 ჯორი, 20-ზე—20 ცხვარი, 4-ზე—ერთი ძროხა.

## უკანასკნელი ცნობები

პეტროგრადში ცნობა მოსულა, რომ გერმანეთის პასუხს უილსონზე კარგი შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია. ამბობენ, გერმანეთის ნოტა ამერიკის გამოსვლის გამო სრული დაცინვა არისო.

—

ამ ბოლო-დროინდელ ნოტის გამო საბერძნეთში ისეთი მდგომარეობა მყარდებოდა, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს საბერძნეთი უნდა დაეტოვებინათ, მაგრამ საბერძნეთის მეფეს არ ჰსურდა მოკავშირეებთან კავშირი საბოლოოდ გაეწყვიტა და ამიტომ მოკავშირეებს აღუთქვა, ყველა თქვენს მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებო.

## ცვლილებანი სამინისტროში

(დეპ. პეტ. სააგ.)

**პეტროგრადი.** უმაღლესის ბრძანებით სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი, ტაინი სოვეტნიკი მაკაროვი, თანახმად მისი თხოვნისა იუსტიციის მინისტრობისაგან გაანთავისუფლეს. იგი დარჩება სახ. საბჭოს წევრად და სენატორად.

სენატორი, სასახლის ეგერმეისტერი, ტაინი სოვეტნიკი დობროვოლსკი იუსტიციის სამინისტროს გამგედ დაინიშნა.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგე დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი პროტოპოპოვი უმაღლესად დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად.

# ახალი ამბავი

### სასახლეში

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე, მეფის ნაცვალს წარუდგა სადარბაზოდ.

### მთავრობის დაწესებულებანი.

◆ **გენ. ვოლსკის ბრძანება.** კავკ. სამხედრო ოლქის უფროსმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება უსაჭიროეს საგნების მოვაჭრეთა საყურადღებოდ. თანახმად ამ დადგენილებისა: 1) უსაჭიროეს საგნების მოვაჭრეებმა ყველა სანოვაგეზე გამოაკრან ფასები. 2) ყველა სავაჭრო სახლები, ბანკები და სხვა ამ გვარი დაწესებულებანი მოვალენი არიან ადგილობრივ პოლიციის უფროსებს აცნობონ საქონლის რაოდენობა, როგორც სავაჭრო დუქნებში, ისე საწყობებში, და შემოსავალ-გასავლის ჯამი; 3) ჩარჩებს აღკრძალული აქვთ გუბერნატორის ნებადაურთველად სოფლელებისაგან საქონლის შესყიდვისა; 4) სოფლელებს ნება არა აქვთ თვისი ნაწარმოები ნირხზე ზევით გაჰყიდონ. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, ჯარიმად გადახდებათ ან 3000 მანეთი, ან 3 თვით ციხეში დააპატიმრებენ.

### ქალაქის დაწესებულებანი

◆ **ახალი სავადმყოფო.** ქუნთრუშიანების მოსათავსებელ ქალაქის სავადმყოფოს მოწყობა თავდება.

### სასულიერო უწყებაში.

◆ **სამღვდელოების კრება.** გუშინ, ქართლ-კახეთის საეპარქიო კრება დაიხურა.

◆ **სანთლის ქარხნის** გამგედ სამღვდელოების კრებამ დანიშნა აწინდელი მოადგილე გამგისა მ. მიქელაძე, მის თანაშემწედ მ. ნათიძე, ხოლო საქმის მწარმოებლად მ. ვარდიაშვილი.

### სომეხთა შორის.

◆ **სომეხთა საზოგადოება და სკოლები.** ბაქოელ სომეხთა კულტურულ კავშირთან არსებულ სასკოლო სექციას 1,300 მანეთი გადაუდვია საქართველოში არსებულ სკოლების (სურამისა, ვაყისა (ზემო ქართლი), ონისა (რაჭა), სჩხერისა და ჩხარისა) დასახმარებლად.

### სხვა და სხვა ამბები.

◆ **ავტოკეფალიის გარშემო.** დღეს, საღამოს 8 საათზე, სადეპუტატო საკრებულოში თავად-აზნაურობის კრებაა დანიშნული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამო მოსალაპარაკებლად.

◆ **მიტროპოლიტი პიტირიმი.** როგორც პეტროგრადის სასულიერო სფეროებში ამბობენ, მიტროპოლიტი პიტირიმი გადაყვანილ იქმნება კიევში, ხოლო კიევის მიტროპოლიტი ვლადიმერი ისევ პეტროგრადს დაბრუნდება.

◆ **ალ. ქორქია.** პეტროგრადში ტატიანას კომიტეტთან დაარსებულ საისტორიო კომისიაში, რომელსაც აზრად აქვს გამოსცეს ისტორიული კრებული გადმოხვეწილთა შესახებ, ქართველების მხრით დანიშნულია საკომერციო სასამართლოს წევრი ალ. ჯამულეთის ძე ქორქია.

◆ **მუსულმანთა დღესასწაული მავლუთნაბი.** წინასწარმეტყველ მაჰმადის დაბადება წელს ჩვენებურ ქრისტეშობისთვის 25-ს მოდის. ჯუმამეჩეთში (საბოტანიკო ქუჩაზე) მუსულმანთა მიერ გადახდილ იქმნება დღეობა. დღეობაზე მოწვეულ იქმნებიან მთელი მუსულმანობა თბილისისა, აგრეთვე ადგილობრივ სასწავლებლებში მოსწავლე მუსულმანებიც. დღეობა დაიწყება დილის 10 საათზე, დასრულდება ნაშუადღევის ორ საათზე.

◆ **ხაზურთალოს სახალხო თეატრი (ლებანიძისა).** კვირას, 18 ქრისტეშობისთვეს, ადგილობრივ წრის სცენისმოყვარეთაგან, სახალხო თეატრის სცენისმოყვარეთა დახმარებით და ვინარმანიძის რეჟისორობით წარმოდგენილი იყო „დამარცხებულნი“ ირეთელისა. პიესა კარგად იყო დადგმული. განსაკუთრებით პირველ მოქმედებამ საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი ბევრი დაესწრო.

◆ **სასადილო „იმედის“ კურთხევა.** ქრისტეშობისთვის 21 აკურთხეს ქალთა საზოგადოების სასადილო „იმედი“. სასადილო მშვენივრად იყო მორთული. აკურთხა სასადილო დეკანოზმა ნ. თალაკვაძემ, რომელმაც შესაფერის სიტყვით მიმართა საქმის მოთავე მანდილოსნებს, დალოცა და უსურვა წარმატება, დაესწრნენ კურთხევას: თბილისის გუბერნატორი, დეკანოზი ქ. კეკელიძე, საეპარქიო სასწავლებლის უფროსი თავადის მეუღლე თავდგირიძისა, სახალხო სკოლათა ინსპექტორი, სათავად-აზნაურო საქალებო გიმნაზიის უფროსი თავადის ასული ჯავახიშვილისა, წარმომადგენელნი პრესისა და სხვა ჩვენთა დაწესებულებათა, რჩეული საზოგადოება, განსაკუთრებით კი მანდილოსნები. კურთხევის შემდეგ სტუმრები მიწვეულ იყვნენ ჩაიზე. სტკბებოდა ყველა და სრულის თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ამ ახალ დაწესებულებას, რომელსაც ისეთი სიმპატიური მიზანი აქვს, როგორც დახმარებაა ხელმოკლე ახალგაზდობისა და საზოგადოთ გაჭირებაში მყოფ საზოგადო მოღვაწეთა. საათის ექვსზე სტუმრებმა წარმატება უსურვეს სასადილოს გახსნის მოთავეს ქ-ნს ნინო ყიფიანისას და დაიშალნენ. გუშინ უკვე დაიწყო სასადილომ მოქმედება.

◆ **ჰენრიკ სენკევიჩის** ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ სალიტერატურო დილას საარტისტო საზოგადოების თეატრში დიდძალი ხალხი დაესწრო, არცერთ ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელი არ დაჰკლებია. მრავალი სიტყვები წარმოითქვა, სხვათა შორის, ქართულადაც.

◆ **თავდასხმა,** ექ. გ. გ. მეღრაბიანს, რომელიც ცხოვრობს სოლოლაკში, ბებუთოვის ქუჩაზე, 21 ამა თვეს, საღამოს 8 საათზე, როცა ყველა მისი პაციენტები წასულან, კაბინეთში შევარდნია ორი კაცი და დაუყვირიათ—კრინტი არ დასძრაო. მეგრაბიანს არ შეშინებია, აუღია ანთებული ლამპა, დაუპატიჟებელ სტუმრებისთვის უსვრია და ყვირილი აუტეხია—მიშველეთო! თავდასხმელებს რევოლვერი დაუცლიათ და გაქცეულან. ექიმის ყვირილზე იმავე სახლიდან გამოვარდნილა მისი ძმა მღვდელი გიონდი, რომელიც კარიდორში შეხეჩებია გაქცეულ ბოროტგამზრახველთ. ამ უკანასკნელთ აქაც დაუცლიათ რევოლვერი და მღვდელი მეღრაბიანი ხელში დაუჭრიათ. ამ შემთხვევის გამო ბევრი მითქმა-მოთქმაა თბილისში.

◆ **სასურსათო საქმე.** თბ. გუბერნატორის რწმუნებულს აგრონომ გ. ვ. დალაქიშვილს უკვე გამოუგზავნია კავკავიდან 100.000 ფუთი სიმინდი. ვისაც მიღება უნდა, მიმართოს გუბერნატორს. აგრონომ დალაქიშვილს შეუსყიდია აგრეთვე 40.000 ფუთი კარტოფილი ძალიან კარგის ღირსებისა, რომელიც თბილისში ჩამოტანით დაჯდება დაახლოებით 1 მ. 41 კ. ფუთი. ეს კარტოფილი ბ. დალაქიშვილს უყიდნია თბილისისათვის. რადგან ფულის მხრივ დაბრკოლებაა, ვინაიდან გუბერნატორს ამ საგნისთვის თანხა არა აქვს ნავარაუდევი, განზრახულია მიმართონ ადგილობრივ კოოპერატივებს, რომ ფული გადასდონ კართოფილის მისაღებად, რადგან ფასდადებით გამოგზავნას პატრონი არა თანხმდება. კავკ. მომხმარებელ საზოგადოების კავშირმა ბ. დალაქიშვილის თანაშემწედ დანიშნა საეკონომიო მეცნიერების კანდიდატი ტერ-სარქისოვი. კართოფილის შეძენა ვისაც სურს, უნდა მიმართოს პირდაპირ რწმუნებულს შემდეგი მისამართით Владикавказъ, Хлѣбармія, агроному Г. В. Далакишвили.

◆ **სენატორს ნ. თ. ჟუკოვსკის** დღეს ასაფლავებენ.

◆ **საჯარო ვაჭრობა.** მომავალ წლის 23 იანვარს სართიჭალის სოფლის კანცელარიაში დანიშნულია სახელმწიფო ტყის იჯარით გაცემა გასაჩეხათ, სულ 5756 მანეთად ღირებული, 25 იანვარს კი ახალციხის სამაზრო გამგეობაში გაიცემა იჯარით კობლიანის ტყე, სულ 70418 მან. ღირებული.

◆ დღეს 23 ქრისტეშობისთვეს კახეთის ქუჩაზე № 64 დილის 11 საათზე 32 ჯორი იყიდება უნაგირ-მოკაზმულობით.

◆ 28 ქრისტეშობისთვეს განმაწილებელ პუნქტებში საჯაროთ გაიცემა სხვა და სხვა შენობების და ფარდულების აგება.

◆ **ახალი სამკითხველო.** სოფ. დოესის (ქართლი) მცხოვრებნი სთხოვენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აიღოს ნებართვა და მოაწყოს იქ სამკითხველო. აღნიშნულ საზოგადოებასთან არსებულმა სახალხო კითხვების მომწყობმა სექციამ დაადგინა გაუგზავნოს ნახსენებ სამკითხველოს 30 მანეთის წიგნები.

◆ **სახალხო კითხვები.** მთავრობამ ნება დართო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მოაწყოს თბილისის სატუსაღოებში სახალხო კითხვები ქართულ ენაზე. პირველად კითხვა გაიმართება საგუბერნიო ციხეში 27 ამა თვეს. კითხვებს მოაწყობს ილია ნაკაშიძე.

— 26 ამა თვეს, დღის 12 საათზე, ნიკოლოზის (ჩუღურეთის) ეკლესიის სამრევლო სკოლის დარბაზში ქ-ნი ანნა ხახუტაშვილი გამართავს საბავშვო დილას ბუნდოვანი სურათებით. იმავე დღეს, საღამოს 5 საათზე, ვერის უსასყიდლო სასადილოში ქ-ნი ან. ახალშენიშვილისა მოაწყობს კითხვას ბუნდოვანის სურათებით.

### ქუთაისი.

ქალ-ვაჟთა მოსამზადებელი სკოლა და საბავშვო ბაღი ან. ლ. ქავთარაძისა ქ. ქუთაისში მართავს მოწაფეების ნაწარმოებთა გამოფენას. გამოფენის უფასოთ დათვალიერება შეიძლება 27, 28 და 29 ქრისტეშობისთვეს, შუადღის 12 საათ. 2 საათამდე.

— სრულიად რუსეთის საშუალო სასწავლებლების რუსულ ენის მასწავლებელთა ყრილობას, რომელიც მოწვეულ იქმნება ქრისტეშობისთვის 27 მოსკოვში, ქუთაისის ქართულ გიმნაზიის წარმომადგენლებად დაესწრებიან ამავე გიმნაზიის მასწავლებელნი აკაკი ფაღავა და ნიკ. ნუცუბიძე.

— იმერეთის სამღვდელოების საეპარქიო კრებამ გადასწყვიტა აღძრას ავტოკეფალიის შესახებ შუამდგომლობა მისის იმპერატორებითის უმაღლესობასთან მეფის ნაცვალთან. ამისთვის ამორჩეულია საგანგებო დეპუტაცია. დეპუტატებად აირჩიეს მღვდლები: ე. ჩხაიძე, ს. დევიძე და კ. ანთაძე.

— ქრისტეშობისთვის 18 შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში გაიმართა ქუთაისის გუბერნიის კოოპერატივების წარმომადგენელთა კრება. 80 წარმომადგენელი დაესწრო. ერთხმად დაადგინეს: დაარსებულ იქმნას ქუთაისში ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის განყოფილება.

### სოხუმი.

აქეთკენ დიდი წყალდიდობა იყო. მდინარე გუმისტაზე გადებული რკინის ხიდი წყალმა დაანგრია. გაგრასა და სოხუმს შუა მიმოსვლა შეწყვეტილია. გაგრა პატარა მდინარე ჟოეკვარამ დიდათ დააზარალა. ფრანგების საზოგადოების საწყობი სხვა და სხვა მასალისა წაიღო. დააზიანა სატექნიკო სახელოსნოები. გარაჟები და სხვა მსუბუქი შენობები ზოგი წაიღო, ზოგი დააზიანა წყალმა. ზარალი დიდია.

### ს. კასპი.

ქრისტეშობისთვის 27-ში აპირებს მოსვლას გორის მაზრის კრედიტის ინსპექტორი ბ. ა. გრიგოლია, რომელმაც ანგარიში უნდა გაუწიოს აქაურ კრედიტის დაწესებულებას და შემდეგ აირჩევენ ახალ გამგეობას. ამჟამად გამგეობაში არიან სულ სომხები. სხვათა შორის, უნდა აირჩიონ მამასახლისი. აქამდისინ მამასახლისებადაც სულ სომხები იყვნენ.

### კასპი (გორ.მაზ).

ზამთარი უკვე გვესტუმრა, მცხოვრებნი დიდ გაჭირებას განიცდიან. ჯერ შიმშილისა და მერე უშეშობის გამო. აქაური კოოპერატივი, რაც ღონე და ძალა აქვს, დიდ დახმარებას უწევს მცხოვრებლებს, ამ სამის კვირის წინეთ მოიტანა ერთი ვაგონი ფქვილი „რაზმოლი“, ტომარა 17 მან. და ათ შაურად. გუშინ მოიტანა მეორე ვაგონი, ტომარა 19 მ.—10 შაურობაზედ. მართალია, ქვრივ-ობლით და უსახსროებს ძალიან უჭირთ ასეთის ფასების გაღება ტომარაზედ, მაგრამ ისევ სიმშილსა და სიკვდილს ფულის მიცემას ამჯობინებენ. დანარჩენ სანოვაგეთა ფასებმაც აიწია: კვერცხი თითო შვიდ კაპეიკადაა, ქათამი—ორ-სამ მანეთად, ინდაური—რვა-ცხრა მანეთად, ბატი ხუთ მან., ცხვრის ყველი—თხუთმეტ შაურად, ერბო გირვ. ორ და ათ შაურად, ძროხის ხორცი გირვ. 35 კაპ., ცხვრისა—50 კ., ღორისა—60 კ. ცხვრის დუმა და ღორის ქონი გირვ. მანეთად. ღვინის ფასმაც აიწია. ვედრო (თორმეტი ჩარექი) ისყიდება ექვს მანეთიდგან დაწყებული რვა მანეთამდე.

ჩვენს ხეობაში კოდი პური (4 ფუთია) ფასობს ორ თუმნად. სიმინდი თუმნად და თორმეტ მანეთად. მუშა ხელი ეხლა ფასობს დღეში ორ მანეთად.

## ავტოკეფალიის გარშემო

ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების შესახებ პრესაში ბევრი არაფერი იწერება და ქართველმა საზოგადოებამაც, რომელსაც მთელი გულის-ყური ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებებისკენა აქვს მიმართული, არაფერი იცის.

ვიცით მხოლოდ, რომ როგორც პრესა გვამცნობს, კრების უქვეშევრდომილესი მოხსენება ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ—საქართველოს არქიელი ჯიბით ატარებსო.

გამოვიძიეთ საქმის ნამდვილი ვითარება და აღმოჩნდა შემდეგი:

სამღვდელოების კრებამ გადასწყვიტა ხელმწიფე იმპერატორისათვის უქვეშევრდომილესი დეპეშა გაეგზავნა და ეს საქართველოს არქიელს შეატყობინა. მისმა მაღალ-მეუფებამ ურჩია: კარგი იქნება, მეფის ნაცვალსაც წარუდგეს დეპუტაცია უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოსაცხადებლათაო.

კრებამ დაადგინა: ვისარგებლოთ ამითი და მოხსენება ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ წარვუდგინოთ მეფის ნაცვალსაო. შეადგინა მოხსენება და მთელმა კრებამ, ერთ-ორის გარდა, ხელი მოაწერა.

როდესაც მეფის ნაცვალს დეპუტაცია უნდა წარსდგომოდა, საქართველოს არქიელს ავტოკეფალიის აღდგენის შესახები მოხსენება აჩვენა. არქიელი გაჯავრდა: უჩემოდ რად შეადგინეთ ეს მოხსენებაო და მაშინვე არ შემატყობინეთო? თქვენ შეცდომაში შეგვყავართ, რათგან მეფის ნაცვალი წინდაწინ უნდა მომემზადებინა ამ საკითხის შესახებაო.

დეპუტაციამ მოახსენა: თქვენო მაღალ მეუფებავ, აქ ფიქრათ არავის მისვლია თქვენი შეცთომაში შეყვანა. ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრება მეფის ნაცვალს უქვეშევრდომილეს გრძნობებს უცხადებს და, მასთანვე, ამ მომენტით სარგებლობს და მოხსენებას ურდგენს ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, აქ ისეთი არა არისრაო.

— ეგ ჩვენ უფრო უკეთ ვიცით, თქვენთვის რა უფრო სჯობიან,—გაუკეთებს შენიშვნას საქართველოს არქიელი,—**მე პრინციპიალურად საქართველოს ავტოკეფალიის წინააღმდეგი ვარ.**

ბოლოს, საქართველოს არქიელი, დეპუტატებ შორის უკმაყოფილება რომ გააქარწყლოს, ჩამოართმევს მოხსენებას და ეტყვის:—როდესაც მეფის ნაცვალთან აუდიენციას გაათავებთ, თქვენს შემდგომ მეფის ნაცვალს მოვახსენებ და ამ მოხსენებას წარვუდგენო.

როდესაც ქართულ პრესაში გაისმა ხმა ამ მოხსენების შესახებ, კრების თავმჯდომარეს, იროდიონ ოქროპირიძეს, ჰკითხეს, დოკუმენტი სად დაიკარგაო: მამა ოქროპირიძე ეახლა საქართველოს არქიელს და წაუკითხა რაც ქართულ გაზეთებში დაიბეჭდა ამ მოხსენების შესახებ.

არქიელი მეტად განცვიფრდა, ჯიბიდან მოხსენება ამოიღო და თავმჯდომარეს გადასცა:—აი, თქვენი მოხსენება, მეფის ნაცვალს მოვახსენე ამის შესახებ, მაგრამ მისმა უმაღლესობამ თავიდან მოიცილა, ეს მე არ შემეხებაო; როდესაც მსოფლიო საეკლესიო კრება მოხდება, მაშინ შეიძლება მაგ საკითხის აღძვრაო; შეგიძლიანთ ეს ჩემი სიტყვები პრესაში გამოაცხადოთო, დაასრულა არქიელმა.

ეხლა კი ეს მოხსენება, ავტოკეფალია, ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების თავმჯდომარის ჯიბეშია, ოთხათ დაკეცილი.

როგორ უნდა მოიქცეს ამის შემდეგ სამღვდელოება ან ქართველობა? რა გზას უნდა დაადგეს? საქართველოს ეკლესიის გათელილი უფლებანი როგორ უნდა აღადგინოს?

სხვათა შორის, დღეს, ქრისტეშობისთვის 23, საღამოს 8 საათზე, დეპუტატთა საკრებულოში საგანგებო კრებაა დანიშნული თავად-აზნაურობისა, კარგი იქნება სამღვდელოებაც მონაწილეობა მიიღოს, რათა მოილაპარაკონ, თუ რა გზას უნდა დაადგნენ ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.

Legatus

## რასპუტინის მოკვლა

რასპუტინის გვამს სამი ჭრილობა აღმოსჩენია: ძუძუსა, მკერდსა და კისერზე. სახე მისი დამახინჯებული ყოფილა. წვერ-ულვაში ტყვის სათბურზე შეჰყინოდა. გვამი უცვნია პროტოპოპოვის მსახურის ქალიშვილს. გვამი კუბოში ვერ ჩატეულიყო, რადგან ხელები გაშლილად დარჩენოდა გაფიჩხებული. ამბობენ, რასპუტინი ერთ-ერთ დიდ მოხელის შვილს მოუკლავს, რომელსაც შარშან დიდი ადმინისტრატიული თანამდებობა ეჭირაო. მკვლელს განუცხადებია: დიდი შეურაცხყოფა მომაყენა და შური ვიძიეო. მტკიცდება ის გარემოებაც, რომ მკვლელობაში მაღალ საზოგადოების ერთს წრეს მონაწილეობა მიუღია. მკვლელობაში მრავალ მაღალ-ხარისხოვანი პირნი ყოფილან გარეულნი. შეთქმულობის ასასრულებლად ნადიმი გაუმართავთ. რესტორან „სამარყანდში“ ორს აფიცერს მიუპატიჟნია რასპუტინი. ზოგნი კი ამბობენ, ნადიმი ერთ მაღალ წრის სახლში იყო გამართულიო. ღამის სამს საათამდე უქეიფნიათ. ხოლო ოთხს საათზე, როდესაც რასპუტინი ავტომობილში ჯდებოდა, ოთხჯერ გავარდნილა რევოლვერი. ზოგნი კი ამბობენ, რევოლვერის ხმა ოთახშივე გაუგონია ერთ მოხუცს პოლიციელსაო. პოლიციელი სახლისკენ წასულა. ამ დროს სახლიდან გამოსულა ერთი წარჩინებული პირი და პოლიციელისთვის უთქვამს:

— მე სათათბიროს წევრი ვარ და დაუსახელებია მემარჯვენე დეპუტატის გვარი. გაგიგია ჩემი გვარი თუ არაო?

— დიახ, გამიგია!

— შენ პატრიოტი ხარ?

— დიახ!—უპასუხნია პოლიციელს.

— მაშ იცოდე, მე მოვკალ—და დაუსახელებია მოკლულის გვარი.

ამბობენ, რასპუტინის მოსაკვლელად წინდაწინვე მოლაპარაკებულან. როდესაც სისრულეში უნდა მოეყვანათ განზრახვა, წილი უყრიათ. წილი, თურმე, ერთ-ერთ გამოჩენილ პირის შვილსა ხვდა. წინა დღეებში რასპუტინის სახლთან რამდენიმე ახალგაზრდა ყმაწვილი განუწყვეტლივ სდარაჯობდა და თვალყურს ადევნებდა, თუ ვინ მიდიოდა რასპუტინთან და ან ვინ გამოდიოდა მის ბინიდან.

ამ სენსაციურ მკვლელობის გამო დიდი აურზაური ასტყდა. ჯერაც არ იციან, თუ ნამდვილად როგორ მოხდა მკვლელობა. მთელი საქმე ჟანდარმერიის გარდაეცა.

## იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება

16 ქრისტეშობისთვე.

კრებაზე გამოცხადდა 37 დეპუტატი. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა დეკანოზი ი. მარგიანი. მდივნებად დეკ. ი. წერეთელი და ძიგრაშვილი. კრების დაწყებამდის გადაიხადეს ბაგრატის ტაძართან მიდგმულ ტაძარში პარაკლისი.

კრება გახსნა სასულიერო სასწავლებლის შენობაში ეპისკოპოზმა გიორგიმ, რომელმაც შემდეგის სიტყვით მიმართა სამღვდელოებას: დღევანდელ ყრილობას ბევრი საჭირბოროტო საკითხები აქვს გასარჩევი და იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით, კეთილათ დაბოლოვდება.

ყოველივე დადგენილება კრებისა, უწინარეს ყოვლისა წარედგინება მღვდელ-მთავარს და მისი რეზოლიუციით დაუბრუნდება კრებას. კრებას შეუძლია, თუ რომელსამე საკითხში არ დაეთანხმება მღვდელ-მთავარს, მეორეჯერ გაიმეოროს და თუ მეორეჯერაც არ დაეთანხმება მღვდელმთავარი, მაშინ თვითონ ის იქნება პასუხის მგებელი ყველაფერში. მაგალითად, სკოლების ხარჯთ-აღრიცხვა უნდა მოასწროს კრებამ წარუდგინოს მღვდელმთავარს და მისი აზრიც ახლავე უნდა განიხილოს.

გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, ერთ არა სასიამოვნო ინციდენტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს სასწავლებელში.

როგორც მოგეხსენებათ, აქ გადმოიტანეს თბილისის სემინარიის სამის კლასის პარალელური განყოფილებები. რადგანაც ჯერ-ჯეროპით მას თბილისის სემინარიის ნაწილს ეძახიან, მასწავლებლებიც იქიდან გადმოვიდნენ იმ კლასებისა. სხვათა შორის ქართული ენის მასწავლებლობა შესთავაზეს ბერ-მონაზონ ონოფრეს (შუშანიას),

რადგანაც გაკვეთილების განაწილების დროს ცოტა გაკვეთილები ხვდა.

მე, რაც დასაფიქრებელია, ქართულ ენის მცოდნე მინდოდა მომეწვია ამ ადგილისათვის, მაგრამ ჩემს გარდა ორ ქართველ ეპისკოპოზს ეს უფლება ახდილი აქვს. ამ საქმის გამო დიდი უთანხმოება მოხდა გამგეობაში. თავმჯდომარემ გამგეობისამ შემატყობინა, რომ ისე ცუდად იქცევიან სამღვდელოების წარმომადგენელნი, შეუძლებელია კრებების გაგრძელებაო. ამ დროს მოველოდი ეგზარხოსსა და ასე არეულად ვერ დავახვედრებდი საქმეს. ამიტომ დროებით საზ. კრებამდის დავითხოვე თქვენი წარმომადგენლები. ახლა თქვენი საქმეა: შეგიძლიათ ძველები დასტოვოთ და ახლებიც აირჩიოთ. სანთლის საქმეც დიდ უბედურ მდგომარეობაში იმყოფება, რადგანაც ცვილი ძლიერ გაძვირდა. როდესაც თბილისის ქარხანას ვთხოვეთ და შევუთვალე, ფუთს 85 მ. ნაკლებ ვერ ვშოულობთმეთქი, იქიდან პასუხად მივიღე: „еще больше заплотите"-ო. აქ ვერას გავხდით. ებრაელ ვაჭრებთან ვერაფერი გავაწყვეთ: ისინი ყიდულობენ ცვილს და აგზავნიან სხვა ქალაქებში. ამის შესახებ კიდეც შევატყობინე გუბერნატორს, მაგრამ პასუხად მივიღე, რომ ალებ-მიცემობა თავისუფალიაო. ამიტომ, საჭიროა ამ საქმეში თქვენ დაგვეხმაროთ. ახლა წარმოდგენილი გაქვთ საკითხები და შეგიძლიათ ახალი კითხვებიც შეიტანოთ და ზოგიერთ საკითხებზე თუ გუშინ ვერ გეთანხმებოდით, შესაძლებელია დღეს დიდი მადლობაც გითხრათ და ორივე ხელით მოვაწერო, რადგანაც დღეს მდგომარეობა შეცვლილია.

შემდეგ მღვდელმთავარი წაბრძანდა თავის ბინაზე. თავმჯდომარე დეკ. ი. მარგიანი მადლობას უცხადებს კრებას ასეთი ნდობის გამოცხადებისათვის.

**ხპ. ლეკვეიშვილმა** წაიკითხა კრების წინასწარ კომისიის მიერ დამზადებული კითხვები, რომელიც უნდა გაარჩიოს კრებამ, სახელდობრ: ა) სვანეთის სამღვდელოების ჯამაგირების მომატება, ბ) დასახმარებლად გადადებულ ფულის გაყოფა სამღვდელოებაზე, გ) სასულიერო ორგანოს გამოცემა, დ) საეკლესიო ბეჭდებზე ქართულ წარწერის რუსულით შეცვლა, ე) ნათლობის დროს ნაციონალურ სახელების დარქმევა და სხვ.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ჩვენს ახლად გარდაცვალებულ მოღვაწეთ: ალ. ყიფშიძეს, თ. ჟორდანიას, ი. ევდოშვილს, მ. ცაგარეიშვილს და ომში დაღუპულ ჩვენს მოძმეთ.

კრებამ ერთხმად დაადგინა გასარჩევ საკითხებს მიემატოს ჩვენის ხალხის საჭირბოროტო საკითხი—საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ყველა ეს საკითხები წარედგინა მღვდელმთავარს დასამტკიცებლად და მისმა მეუფებამაც გამოუკლებლივ დაამტკიცა.

ირჩევა სასულიერო სასწავლებლის მეთვალყურის ხოლმსკის უკანონო მოქმედება.

**ამ. ფოფხაძე.** სემინარიის გამგეობაში ის აზრი გამოვსთქვით, რომ ქართული ენისთვის მოეწვიათ გამოცდილი მცოდნე მასწავლებელი, როგორც არის ა-ნი ვ. ბერიძე და გალობის მასწავლებლად მღ. რ. ხუნდაძე. მაგრამ ჩვენს აზრს არავითარი ანგარიში არ გაუწია გამგეობამ და ხოლმსკიმ ასე მოგვმართა: „ისე მსჯელობთ, როგორც „სელსკაია ბაბაო". ჩვენ ამით შეურაცყოფილი დავრჩით და მე პირდაპირ მივმართე: ეს როგორ შეიძლება, ეს ჩვენი შეურაცყოფაა, ჩვენ მთელის სამღვდელოების პირით ვლაპარაკობთ-მეთქი. აქედან დაიწყო კონფლიქტი. როდესაც ბ-ნმა ხოლმსკიმ მღვდელმთავართან დაგვაბეზღა, მან ჩვენ დაგვითხოვა. ამ დროს ჩამოვიდა ეგზარხოსი. ჩვენ გვინდოდა უწინ გვენახა ეგზარხოსი და კიდეც მოვახერხეთ. როდესაც დაწვრილებით გავაცანით საქმის გარემოება, გვიპასუხა, თქვენი დათხოვა კაცს არ შეუძლიაო და ნუთუ ასეთი უბრალო საქმე ეპისკოპოზმა ვერ მოაგვარაო? ეს ისტორია ინციდენტისა, ახლა თქვენი საქმეა როგორ და რამდენად დაიცავთ თქვენს უფლებას.

**მ. ბუაჩიძე.** ჩვენს ყმაწვილებს საფრთხე მოელისთ, თუ ხოლმსკი დარჩა ჩვენს სასწავლებელში. ბავშვების მიღება, მისის წყალობით პროტექციით ხდება.

**ნემსიწვერიძე.** როდესაც ბავშვთან მივედი, ერთხელ გამოცდის დროს, რუსულად ვერაფერს მიხვდა და მე ქართულად ავუხსენი. მე მითხრა: „თქვენ ხელს მიშლით თქვენის ენითაო". ეს პირდაპირ ენის შეგინება არის. გარდა ამისა, ჩვენ საწყობში შენახული გვაქვს სხვა და სხვა ტახტები და დიდძალი რკინეულობა, ასე 1000 მანეთად ღირებული. ბ-ნი ხოლმსკი უთავბოლოდ აბნევს და ჰფლანგავს, ამიტომ საჭიროა გავყიდოთ. მოსახსენებელია ისიც, რომ ბ-ნი ხოლმსკი, სულიერი აღმზრდელი ჩვენის ბავშვებისა, წირვა-ლოცვაზე არ დაიარება.

**მ. ბუაჩიძე.** ბიბლიოთეკა გაფლანგულია, საჭიროა ყურადღების მიქცევა. აგრეთვე საჭიროა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ბავშვები კლასებში სიცივისაგან იხოცებიან, მასწავლებლები პალტოიანათ სხედან კლასებში და ისე ასწავლიან. ეს ხდება იმიტომ, რომ ის 16 საჟენი შეშა, რომელსაც სასწავლებლისათვის ყოველ წლივ ვიწერთ, ვერ ხმარდება თავის დანიშნულებას.

ამ განცხადებამ ჩოჩქოლი გამოიწვია სამღვდელოებაში და ცხარე კამათის შემდეგ დაადგინეს: გაეგზავნოს სამოსწავლო კომიტეტს ჟურნალი და ამის შესახებვე ეცნობოს და ეთხოვოს სახელმწიფო საბჭოს წევრს თ-დ აფხაზს და პეტროგრადის მიტროპოლიტ პიტირიმს, რომ დაჩქარონ ამ საქმის გამოძიება.

კრებამ დაადგინა დეპეშით მიესალმოს ქართლ-კახეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდელოებას, რომელთაც ამ ჟამათ კრება აქვთ.

შემდეგ არჩევენ იმ ცირკულიარს, რომელიც გამოუგზავნია უწ. სინოდს და რომლის თანახმად ქართულ საეკლესიო ბეჭდებზე წარწერა რუსული წარწერით უნდა შეიცვალოს. დაადგინეს: მკაცრი პროტესტი გამოუცხადონ ასეთ მოწყრილობას და ყველა საქმის საბუთები ეკლესიებში უნდა იწერებოდეს აუცილებლივ ქართულ ენაზე. შემდეგ კრება ეხება ნათლობის დროს ქართულ სახელების დარქმევას. კრებამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას, რომ ნებადართულ იქმნეს ქართულ სახელების დარქმევა ნათლობის დროს.

ან.—ძე.

(შემდეგი იქნება)

## ხმა სოფლის მასწავლებლისა

დღეს შექმნილ სასტიკ ატმოსფერაში, როდესაც თითქმის ყოველ დარგში საერთო რღვევის პროცესი სწარმოებს, თავის განადგურების ტალღა უმეტესად სახალხო მასწავლებელს სცემს. რუსეთის სატახტო ქალაქის გაზეთებს ხშირად სწერენ პროვინციიდან სოფ. მასწავლებლები თავიანთ აუტანელ მდგომარეობას. მაგ. ერთი მასწავლებელი იწერება: ფეხშიშველა ვარ, მცივა და სიმშილისაგან თავში ტკაცა-ტკუცი გაქვსო და სხვა.

ყველასი ჩამოთვლა მეტათ მიმაჩნია. ამას სჩივიან იქ, სადაც ერობანი და ქალაქები თავის მხრივ კიდევ დამატებითი ჯამაგირს აძლევენ. სახ. მასწავლებელს დღეს აძლევენ დროებით თვეში 40 მან., როდესაც ოჯახის პატრონიანს 30 მ—სა პური ძლივს ყოფნის. დანარჩენ ათი მანეთით, ჩაიცვა, სადილი სჭამო თუ შვილები გაზარდო?

გულგრილობამ და სისასტიკემ თავის აპოგეას მიაღწია. მწარედ გაეცინება ადამიანს, როდესაც საყოველთაო სწავლებაზე დაიწყებენ ხოლმე წერას. საყოველთაო სწავლის პრინციპის ცხოვრებაში გამტარებელს მშიერს ჰკლავენ, სულიერად აძაბუნებენ, უხშობენ ენერგიის ყოველივე ნასახს და ამავე დროს საყოველთაო სწავლის შემოღებაზე ოცნებობენ! რა მწარე ირონიაა! განა განათლებულ ქვეყნებში ამ დარგის მუშაკს ასე მდაბლად უყურებენ! ასე ხელმოჭერით აჯილდოვებენ! შედარებაც კი მეტია.

ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა მასწ. კავშირის გამგეობას შუამდგომლობა აღეძრა სახ. სათათბიროს წევრებს წინაშე მასწავლებელთა უბედური მდგომარეობის შესახებ, რომ ცოტათი მაინც გაეუმჯობესებინათ მათი მდგომარეობა. თორემ, სხვაც არა იყოს რა, ასეთი სისტემატიური და, დავუმატებ, პროგრესიული სიმშილი სწავლის საქმეზედაც ძალიან ცუდათ მოქმედებს. დასუსტებული კაცი შედიხარ კლასში და აღარა გაქვს ღონე იმეცადინო სწავლის შემდეგ ღონე მიხდილი შედიხარ სახლში და პურის ნამტვრევს ეძებს საჭმელად, თუ შესატანად ხახვი გაქვს კიდევ კარგი, მაგრამ ეს ოხერი ხახვიც გაძვირდა ათჯერ მეტათ. ხან იძულებული ხარ, ამ პურის ნამტვრევებსაც გამოეთხოვე, რადგან ბავშვები შემოგტირიან, პური გვშიანო. თუ ავათ გახდი, საწამლებელი ფული სად არის, მაშინ ბუნებრივი საშუალება ერთია—სიკვდილი.

ხედავთ, რა საშინელი სურათი გვეშლება თვალწინ, როგორ იტანჯება მასწავლებელი ფიზიკურათ და სულიერათ და ამავე დროს სთხოვენ—თავგანწირვით იშრომეო. რა ზნეობრივ უფლებითა სთხოვთ ამას? დღეს გლეხკაცის მდგომარეობა ბევრად უკეთესია მასწავლებლისაზე. ზამთრის დღეში იგი მუშაობს 3 მანეთად და ზაფხულში ხომ 5 მან. მუშაობდა. იქნებ მერე რვაზედაც ავიდეს და მასწავლებელს კი 1 მ. და 33 კ. უხდიან.

რა გინდ იდეალური პროგრამები შეთხზან სკოლისთვის, თუ მასწავლებლის ცხოვრების პირობებს არ გააუმჯობესებენ, იგი პროგრამები ჰაერში დაკიდებულათ დარჩება სამუდამოთ. მგონი, რომ ეს ყველასათვის სააშკარაო ჭეშმარიტება უნდა იყვეს.

უმწყო.

## წერილი რედ. მიმართ

პასუხად ბ. „მთის მოძღვარს".

ბ-ნი „მთის მოძღვარი", „საქართველოს" №-226 №-ში, სხვათა შორის, ჩემ წინააღმდეგ ილაშქრებს და დასძენს:

...„ამ პატარა ქალაქის შვენებას შეადგენს შუაში აშენებული დიდი ტაძარი. ტაძარი ეკუთვნის ქალაქს; წირვა-ლოცვა კი სრულდება მეტ წილად რუსულს ენაზედ ისეთ დღეებშიაც კი, როგორიც „თამარობა", „ნინოობა" და სხვა. შეიძლება სთქვას ვინმემ, რომ ალბად რუსები ბევრი ყოფილა ქალაქშიო. სულაც არა. ძალიან რომ გავადიდოთ, ხუთი სული იქნება. რაც შეეხება ჯარს—მათ თავისი საკუთარი ეკლესია აქვს და კარგა ხანია ქალაქის ეკლესიაში ისინი აღარ დაიარებიან. მაშ რაა მიზეზი რუსული წირვა-ლოცვისა? ისა, რომ დამსახურებული დეკანოზი ბეჯითობს. საჭიროა ადგილობრივმა ინტელიგენციამ მიმართოს სასინოდო კანტორას, რომ ამ ტაძარში ღვთის ვედრება მშობლიურ ენაზედ სრულდებოდეს".

მე მხოლოდ უმთავრეს საგანზედ მოგცემთ პასუხს.

თუ დღეს-დღეობით წირვა-ლოცვა სრულდება მეტ-წილად რუსულ ენაზედ, ამის მიზეზი ის კი არ გახლავთ, რომ მე ვბეჯითობდე, არამედ ის, რომ რაც ომი დაიწყო, ჩემი დიაკვანი, როგორც სათადარიგო ჯარის კაცი, ომში გაიწვიეს, და მის შემდეგ მის მოადგილედ არავინ გაუმწესებიათ. მიუხედავად იმისა, რომ მე მის მეუფებას ეპისკოპოს ანტონს ვაცნობე ესა და ვთხოვე მის ნაცვლად დაენიშნა სხვა—არავინ დამინიშნეს, მხოლოდ ნება დამრთო დამექირავებინა ვინმე ეკლესიის ხარჯით. მეც ასე მოვიქეცი, მაგრამ რადგანაც ეკლესიის შემოსავალი ისეთი მცირე იყო და არის, რომ მიმდინარე ხარჯებსაც ძლივს ისტუმრებდა და ისტუმრებს, ერთი დიდმარხვის მეტი ვერ ვიყოლიე. მას შემდეგ იძულებული გავხდი მეტ-წილად მეთხოვნა ადგილობრივ რუს ჯარის-კაცებისათვის, რომ მომხმარებოდნენ წირვა-ლოცვაში და ისინიც სამადლოდ მეხმარებიან. რას მიბრძანებთ, რომელ ენაზედ უნდა შევასრულო წირვა-ლოცვა, როდესაც დიაკვნის როლს ასრულებს რუსი და მასთან ერთი სიტყვაც არ ესმის ქართული. აქვე მოგყავთ მაგალითი ვითომ „თამარობას" და „ნინოობას" რუსულად ყოფილიყოს წირვა. აქ, როგორც გატყობთ მეხსიერება გღალატობთ. ამ დღეებში წირვა-ლოცვის მღვდლის წესრიგი სულ ქართულად იქმნა შესრულებული. მეხმარებოდნენ ისევ რუსი ჯარის-კაცები. წირვის შემდეგ პარაკლისიც ქართულად დავიწყე, მაგრამ, რომ ვერაფერი გაიგეს მგალობლებმა, სულ გაანებეს თავი და გაჩუმდნენ, ასე რომ იძულებული გავხდი პარაკლისი რუსულად დამესრულებინა. ეხლა მე თქვენ გეკითხებით, როგორ უნდა მოვქცეულიყავ ამ შემთხვევაში? შემეწყვიტა პარაკლისი და აღარ დამეთავრებინა?

გარწმუნებთ ბ. „მთის მოძღვარო", მე თქვენზედ არა ნაკლებ მიყვარს ქართული წირვა-ლოცვა და ქართული ენა, მაგრამ დრო და გარემოება ნებას არ მაძლევს ამის შესრულებისას.

დეკ. დიმ. მეტრეველი.

—

პატივცემულო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ვინც კეთილ ინება და 1916 წლის განმავლობაში ავლაბრის ქართულ სამკითხველოს შემოსწირა: ნიკო ივანიშვილმა 20 მ., ძმათა კვეზერელებმა 15 მ., ვანო დურგლიშვილმა ნაცნობთა შორის შეგროვილი (სამი წლის წინეთ) 48 მ. 12 კ. ბ-მა 3 მ., იასონ ხულთნიშვილმა გამოუწერა მთელის წლით გაზეთი „სახალხო ფურცელი". ივანე მჭედლიშვილმა 14 წ. ქართული წიგნი და 2 წ. რუსული წიგნი. ივანე ალიხანოვმა 1 ც. ყაზბეგის თხზულება.

ავლაბრის სამკითხველოს გამგეთა მინდობილობით პასუხის მგებელი გამგე მღ. იაშვილისა.

## შემოწირულება

ხოფ. ხაჯავახოს უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველოს შემწეობა აღმოუჩინეს წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, თუ ფულით შემოწირულებით: ლუარსაბ ბოცვაძემ 80 ცალი ქართული წიგნები ჩვენი მწერლებისა და მთელი წლით დაგვიკვეთა ჟურნალი „განათლება", გიორგი ბოლქვაძემ—„სახალხო ფურცელი", ბიქტორ ბოლქვაძემ გამოგვიწერა—6 თვით გაზ. „საქართველო", სერგო ბოლქვაძემ—გაზ. „ზაკ. რეჩი", ილია ჯაშმა—რუს. ჟურნალი „როდინა", სამსონ ბოლქვაძემ—ჟურნალი „ნივა", ოსიფო ბოლქვაძემ—ყოველ კვირეული გაზეთი „ზვირთი" და სხვა წიგნები, ბიჭუნამ—ქართ. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", ზენაიდა ჯაშმა—ჟურ. „ჯეჯილი" და „ნაკადული", ეზეკია კახიანმა—„ბირჟ. ვედომოსტი", სიმონ თარგამაძემ—გაზეთი „სამშობლო", ივანე მამალაძემ—„რუსკოე სლოვო", ძმ. იაგორ და ვასო ხუნწარიებმა—3 თვით გაზ. „საქართველო" და იუმორისტ. ჟურნალი „მათრახი", ნესტორ ჯაშმა—გაზ. „თანამ. აზრი", არსენ ბოლქვაძემ—რუს. ჟურნალი „ნაშა ჟიზნ" და „ნარია", ვასო ბოლქვაძემ—სამეურნეო ჟურ. „მოსავალი", ქ-ნმა ა. სიხარულიძისამ—გაზ. „მეგობარი", ვლადიმერ რამიშვილმა—„სასოფლო გაზეთი" და სამი თვით უფასოთ დაგვითმო სამკითხველოსათვის შენობა, თეოფილე ბოლქვაძემ—6 თვით იუმ. ჟურ. „მათრახი". ფულით შემოსწირეს: ბ. სანდრო მხილაძემ 5 მან. სიმონდქვაძემ 3 მან. ვასილ ქორიძემ 9 მან. ელენე ბოლქვაძისაგან დ. სამტრედიაში შეგროვილი 8 მან. ლ. და ბ. ქორიძეებისგან შეგროვილი ქ. თბილისში 17 მ. 90 კ. კაპიტონ სიხარულიძისაგან ქ. ბათუმის რკ. გზ. მუშებში შეგროვილი 22 მ. 5 კ. არტემ ქორიძისაგან შეგროვილი 14 მ. 50 კ. სერგო დუდუჩავასაგან დ. ქიათურაში შეგროვილი 15 მ. 25 კ. შემომწირველთ ულრმეს მადლობას სწირავს წიგნ-საცავ-სამკითხველოს გამგეობა.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ გადასცეთ ჩვენს მოჭირნახულე ავადმყოფ მსახიობს და საზოგადო მოღვაწეს ვალიკო გუნიას 21 მ. 50 კ. მოგროვილი არზრუმის პირველ ლაზარეთში: გამოიღეს: ვ. ტურაბელიძემ 5 მ., ლ. ელიავამ 5 მ., ლიუბა კლიმიაშვილმა 3 მ., ვ. ბურჭულაძემ, ემილ მილორავამ და პ. მაჭავარიანმა ორ-ორი მან., ცაკონ საფაროვმა და დანიელოვმა თითო მანეთი და ჰანტურიამ 50 კ.

ავადმყოფს ვუსურვებთ მალე განკურნებას და ბრწყინვალე იუბილეს გადახდას.

ვახთ. ტურაბელიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | სალ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | სალ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | სალ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 . | დილ. |

თბილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | სალ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | სალ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | სალ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | სალ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | სალ. |
| თელავიდან | | № 3, . 6 „ | 24 „ | სალ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე
საუზმე
სადილები
ვახშმები
ჩაი
ყავა
ხაჭაპური
პიროჟკები
ადგილობრივი და ევროპული ხაჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხოჯ. ხ. გიგაზერია.

ამხანაგობა
„კახური მეღვინეობა"
ჩუბინიშვილისა და სონღულაშვილისა
კირკის (კიროჩნი) ქუჩა, № 12.
საკუთარ მამულებიდგან მივიღეთ საუკეთესო ღვინოები,
თეთრი და წითელი, გურჯაანიდან, ვეჯინიდან
და კახეთის სხვა ღვინით განთქმულ სოფლებიდან.

1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
მეორმოცდამეთორმეტე წელიწადი
ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მო
ვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართ
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვ
ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლი
გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი გ
ზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ.
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—4)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა
კურსები
ფ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. სალამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—340—2)

ვინც იტანჯება ათაშანგით
(სიფილისით)
ვურჩევთ იხმარონ ცნობილი საშუალება
პრეპარატი
„IODOSTARIN" (იოდოსტარინ)
მთელი კურსის ფასი 30 მ., ½ კურსის ფასი 16 მ., ¼ კურსის ფასი 8 მ.
ქალაქს გარეშეებს ეგზავნებათ ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ რ. ი. შმიდტან, თბილ
სი, თხინვალის ქ., № 12, გოლოვინის პროსპექტის და მამადავითის ქუ
ახლო. Тифлисъ, Тхинвальская, № 12, отд. 1—2.

საკინძოვგა პროფესორ ტარნოვსკისა
(შესაშხაპუნებელი)
და სუსპენზორიები, მივიღეთ
I და II ხარისხისა, დიდძალი პარტია, ვაჭრობა ბითუმად და წვრილად. ფასები შესაშხაპუნებლისა ბითუმად I ხარისხისა დუჟინი 9 მ.ნ. 50 კ., II ხარისხისა 7 მან. 50 კ. სუსპენზორიების ფასი: ბითუმად დუჟინი 7 მან. 50 კ.
მიმართეთ შესაკვეთად: რ. ი. შმიდტს, თბილისი, თხინვალის ქუჩა, № 12. მისამართი: Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12, отд. 1—7, Р. И. ШМИДТЪ.
ქალაქის გარედ აფთიაქებს და ვაჭრებს გაეგზავნებათ 5 მანეთის ბეს მიღების შემდეგ.

თევზის მრეწველნი
ძმ. მაიზელოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ,
მრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „
შოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქ
ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა
ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკ
რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.